ᲛᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 43-Ე ᲬᲚᲘᲡ № 58 (12570) | ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 9 ᲛᲐᲠᲢᲘ, 1963 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲔᲑᲗᲐᲜ

7 მარტს კრემლში გაიმართა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრა ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან, რომლის დროს გრძელდებოდა აზრთა გაზიარება ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხების გამო, რაც დაიწყო 1962 წლის 17 დეკემბრის შეხვედრაზე.

კრემლის სვერდლოვის დარბაზში შეიკრიბნენ მწერლები, კომპოზიტორები, მხატვრები, მოქანდაკენი, კინოსა და თეატრის მოღვაწენი — მოსკოვის, ლენინგრადის შემოქმედებითი ინტელიგენცია, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლები, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების პირველი მდივნები და პარტიის ზოგიერთი საოლქო და საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნები, მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების მდივნები, რომლებიც განაგებენ იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს, ცენტრალური გაზეთებისა და ჟურნალების, რადიოსა და ტელევიზიის რედაქტორები.

შეხვედრას დაესწრნენ ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ფ. რ. კოზლოვი, ა. ნ. კოსიგინი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ვ. ვ. გრიშინი, ლ. ნ. ეფრემოვი, კ. ტ. მაზუროვი, ვ. პ. მჟავანაძე, შ. რ. რაშიდოვი, ი. ვ. ანდროპოვი, პ. ნ. დემიჩევი, ლ. თ. ილიჩოვი, ვ. ი. პოლიაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ა. პ. რუდაკოვი, ა. ნ. შელეპინი.**

სიტყვები წარმოთქვეს ამხანაგებმა **ლ. თ. ილიჩოვმა, ს. ვ. მიხალკოვმა, ა. ა. პროკოფიევმა, ა. ს. მალიშკომ, პ. უ. ბროვკამ, მ. ა. შოლოხოვმა, მ. ი. რომმა, ე. ვ. შველელავამ, ტ. ნ. ხრენიკოვმა, გ. ნ. ჩუხრაიმ, ვ. ვ. ერმილოვმა, ბ. ვ. იოგანსონმა, რ. ი. როჟდესტვენსკიმ, ლ. ს. სობოლევმა, ა. ა. პლასტოვმა, ე. ი. ნეიზვესტნიმ.**

8 მარტს შეხვედრაზე გაგრძელდება აზრთა გაზიარება.

8 მარტს კრემლის სვერდლოვის დარბაზში პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებისა და ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეების შეხვედრის დროს გრძელდებოდა აზრთა გაზიარება ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე.

შეხვედრაზე იყვნენ ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ფ. რ. კოზლოვი, ა. ნ. კოსიგინი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ვ. ვ. გრიშინი, ლ. ნ. ეფრემოვი, კ. ტ. მაზუროვი, ვ. პ. მჟავანაძე, შ. რ. რაშიდოვი, ი. ვ. ანდროპოვი, პ. ნ. დემიჩევი, ლ. თ. ილიჩოვი, ვ. ი. პოლიაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ა. პ. რუდაკოვი, ა. ნ. შელეპინი.**

სიტყვები წარმოთქვეს **ვ. ლ. ვასილევსკაიამ, ა. ა. ვოზნესენსკიმ, ი. ი. გოლიცინმა, ვ. პ. აქსიონოვმა, ე. ი. მალცევმა, ვ. ა. სმირნოვმა, ა. გ. არუთინიანმა, ვ. ა. კოჩეტოვმა, ზ. ი. აზგურმა, დ. ა. ნალბანდიანმა, მირზო თურსუნ-ზადემ.**

ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა **ნ. ს. ხრუშჩოვმა,** რომელსაც ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები გულთბილად შეხვდნენ. მან გააშუქა ამოცანები იდეოლოგიური მუშაობის, გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პირობებში სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების დარგში.

შეხვედრამ, რომელიც აზრთა გულახდილი გაზიარების ატმოსფეროში მიმდინარეობდა, ცხადყო შემოქმედებითი ინტელიგენციის სრული ერთობა, მისი შეკავშირება ლენინური პარტიის გარშემო, ის, რომ ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები მზად არიან თავიანთი შემოქმედებით აქტიურად მიიღონ მონაწილეობა კომუნიზმის მშენებლობის დიდებული პროგრამის განხორციელებაში.

8 მარტს სსრ კავშირში საყოველთაო ნახალხო დღესასწაულია, კომუნისტური საზოგადოების მშენებელი ადამიანების სიხარულის, ბედნიერების, თავისუფალი შრომის დღესასწაულია.

საზეიმო სხდომაზე, რომელიც სსრ კავშირის დიდ თეატრში გაიმართა, მოვიდნენ სხვადასხვა თაობისა და ეროვნების ქალები. ბევრი მათგანის ბიოგრაფია შეიძლება იყოს სიუჟეტი მოთხრობისა გმირობაზე, ყოველდღიურ შრომით გმირობაზე, რომელიც დიადს წარმოშობს. კრების პრეზიდიუმში არიან უხუცესი კომუნისტი ქალები, ოქტომბრის რევოლუციის ვეტერანები, საბჭოთა კავშირის გმირები და სხვა სახელგანთქმული ქალები.

ტაშმა იგრიალა დარბაზში, როცა კრების პრეზიდიუმში შემოვიდნენ ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ფ. რ. კოზლოვი, ა. ნ. კოსიგინი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ვ. ვ. გრიშინი, ლ. ნ. ეფრემოვი, კ. ტ. მაზუროვი, ვ. პ. მჟავანაძე, შ. რ. რაშიდოვი, ი. ვ. ანდროპოვი, პ. ნ. დემიჩევი, ლ. თ. ილიჩოვი, ვ. ი. პოლიაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ა. პ. რუდაკოვი, ა. ნ. შელეპინი.**

საზეიმო კრება გახსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა რ. ფ. დემენტიევამ. მან თქვა, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ ჩვენი ქალები — თავიანთი ქვეყნის ნამდვილი პატრიოტები უშუალო მონაწილეობას იღებდნენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა საკითხის გადაჭრაში.

საბჭოთა ქალები, რომლებიც ინტერნაციონალური მოვალეობის ერთგულნი არიან, განამტკიცებენ მეგობრობას სოციალიზმის ქვეყნებში მცხოვრებ თავიანთ დებთან. მათ ახარებთ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ხალხები წარმატებანი.

ისინი განამტკიცებენ ყველა ქვეყნის ქალთა ერთობას განიარაღებისა და მშვიდობისათვის ბრძოლაში. გამოხატა რა საერთო აზრი, ორატორმა გამოთქვა იმედი, რომ ქალთა მსოფლიო კონგრესი, რომელიც ზაფხულში გაიხსნება მოსკოვში, კიდევ უფრო შეაკავშირებს ყველა ქვეყნის ქალებს მშვიდობისათვის, პროგრესისათვის, რეაქციისა და ომის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დამსწრეთა სახელით რ. ფ. დემენტიევა მიესალმა და დიდი დღესასწაული მიულოცა მომაქე სოციალისტური ქვეყნების წარმომადგენლებს, რომლებიც საზეიმო სხდომას ესწრებოდნენ და გამარჯვებანი უსურვა მათ სოციალიზმის მშენებლობაში. მიმართა რა საზღვარგარეთის სხვა ქვეყნების ქალებს, მან წარმატებანი უსურვა ხალხთა თავისუფლებისათვის, თანასწორუფლებიანობისათვის, მეგობრობისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაში.

რ. ფ. დემენტიევამ გამარჯვება უსურვა საბჭოთა ქალებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას.

დიდი აღმავლობით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის შემადგენლობა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს კომუნისტური შრომის დამკვრელმა, მოსკოვის მე-2 საათის ქარხნის მხეხავმა ა. პ. კისაროვამ, მოსკოვის ოლქის ლენინოს საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობების საწარმოო სამმართველოს საბჭოთა მეურნეობა „კომუნარის“ დირექტორმა ა. ნ. მონახოვამ, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, რუსეთის სფსრ სახალხო არტისტმა ი. კ. ბორისოვამ, მოსკოვის პირველი სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტმა ელენე რახმანოვამ.

ყველა ორატორმა ილაპარაკა საბჭოთა ქალების მშვენიერ საქმეებსა და შრომის გმირობაზე, იმაზე, თუ რა ძვირფასია მშვიდობა საბჭოთა ხალხისათვის, იმაზე, რომ ერთგულნი არიან კომუნისტური მშენებლობის საქმისადმი.

საზეიმო სხდომის მონაწილეებს მიესალმნენ მოსკოველი პიონერები.

დიდი აღმავლობითა და გულითადი აღფრთოვანებით მიიღეს კრების მონაწილეებმა მისასალმებელი წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

საღამოსასწაულო საღამო დამთავრდა დიდი კონცერტით.

* * *

საზეიმო სხდომები, რომლებიც მიეძღვნა ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს, გაიმართა ლენინგრადში, ბაქოში, ფრუნზეში, ტალინში, დუშანბესა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში. (საკდესი).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ — ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ

ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ

ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲓᲦᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ

8 მარტს თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა თბილისის ქალთა აქტივის კრება, რომელიც მიეძღვნა ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს.

კრების პრეზიდიუმში არიან **გ. ა. გეგეშიძე, მ. ი. კუპავა, ა. ტ. სტუჩენკო, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, რ. ი. ფრუიძე,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. მ. სირაძე,** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ა. კვაჭაძე,** თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ა. ე. მელაძე,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის **მ. ი. კუპავას** პრეს-კონფერენცია თემაზე: „**პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის შექმნის მნიშვნელობა, მისი სტრუქტურა და ამოცანები**“.

მოხსენების შემდეგ ამხ. მ. ი. კუპავამ უპასუხა ჟურნალისტთა ბევრ კითხვაზე. (საკდესი).

ᲞᲠᲔᲡ-ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ

8 მარტს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის ინიციატივით გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მ. ი. კუპავას პრეს-კონფერენცია თემაზე: „პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის შექმნის მნიშვნელობა, მისი სტრუქტურა და ამოცანები“.

მოხსენების შემდეგ ამხ. მ. ი. კუპავამ უპასუხა ჟურნალისტთა ბევრ კითხვაზე. (საკდესი).

ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲓᲦᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ

8 მარტს თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა თბილისის ქალთა აქტივის კრება, რომელიც მიეძღვნა ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს.

კრების პრეზიდიუმში არიან **გ. ა. გეგეშიძე, მ. ი. კუპავა, ა. ტ. სტუჩენკო, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, რ. ი. ფრუიძე,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. მ. სირაძე,** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ა. კვაჭაძე,** თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ა. ე. მელაძე,** საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი **ე. ა. ხალუქვაძე,** საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **თ. ვ. ლაშქარაშვილი,** ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, წარმოების მოწინავეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანმა **ე. ხალუქვაძემ.**

კრებაზე მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს თბილისის მაუდ-კამვლის მუშამ **ლ. სილაგაძემ,** თბილისის საშუალო სკოლის დირექტორმა **დ. სტეფანოვამ,** თბილისის გინეკოლოგიისა და სამეანო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის განყოფილების გამგემ ექიმმა **ნ. უამუტაშვილმა,** მრავალშვილიანმა დედამ **დ. ჭურდიანმა,** საქართველოს **ვ. ი. ლენინის** სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა **გ. მორბედაძემ,** ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა **ა. სტუჩენკომ.**

კრების მონაწილეებს მიესალმნენ პიონერები.

კრების დასასრულს აჩვენეს სპექტაკლი „მე ვხედავ მზეს“. (საკდესი).

ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲓᲦᲔᲡᲐᲦᲐᲠᲘᲡᲘ

8 მარტს ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲯᲘᲠᲗᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲯᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲬᲚᲔᲑᲣᲚ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲑᲘᲗ ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲨᲔᲐᲯᲐᲛᲔᲑᲓᲐ 19 ᲛᲘᲚᲘᲝᲜ ᲙᲐᲪᲘ.

ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲞᲔᲙᲘᲜᲘᲡᲐᲨᲘ

პეკინი, 8 მარტი. (საკდესი). როგორც სინხუას საგენტო იუწყება, გუშინ ნაშუადღევს გაიმართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის ჯოუ ენ-ლაისა და ლაოსის სამეფოს მთავრობის პრემიერ-მინისტრის სუვანა ფუმას მოლაპარაკება.

მოლაპარაკება მიმდინარეობდა მეგობრულ ატმოსფეროში.

ᲔᲠᲐᲧᲘᲡ ᲡᲐᲠᲓᲚᲝᲒᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲙᲘ

პარიზი, 8 მარტი. (საკდესი). ბაღდადის რადიოს ცნობით, ერაყის უმაღლესმა სარდლობამ გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია: იმასთან დაკავშირებით, რომ „სირიის რევოლუციას გარეგან ემუქრება საფრთხე“, ერაყის არმია მომზადებულია საომრად, იუწყება ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი ბაღდადიდან. ერაყის არმიის ნაწილებს ებრძანათ „მზად იყონ ჩარევისათვის მომძმე სირიის რევოლუციის რაიმე ხელყოფის შემთხვევაში“.

ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲒᲐᲓᲐᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲐ ᲡᲘᲠᲘᲐᲨᲘ

ლონდონი, 8 მარტი. (საკდესი). რეიტერის საგენტო, რომელიც იმოწმებს დამასკოს რადიოს იუწყება, რომ დღეს სირიის არმიამ ხელთ იგდო ძალაუფლება სირიაში. მთელ ამ ქვეყანაში შემოღებულია კომენდატის საათი. დაიხურა ყველა საზღვარი, ნავსადგური და აეროპორტი.

პარიზი, 8 მარტი, (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი იუწყება ბეირუთიდან, დამასკოში მოხდა სამხედრო გადატრიალება. დამასკოს რადიომ დაახლოებით 6.45 წუთზე, ადგილობრივი დროით, გამოაცხადა, რომ „რევოლუციური სარდლობის ეროვნულმა საბჭომ“ ხელში აიღო ძალაუფლება.

კაირო, 8 მარტი. (საკდესი). არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეროვნული ხელმძღვანელობის მინისტრმა ანდელ კადერ ჰატემმა განაცხადა, რომ გარედან მომხდარი ყოველი აგრესია სირიის წინააღმდეგ ჩაითვლება აგრესიად თვით არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა, თქვა მან, მთელი თავისი რესურსებით დაუჭერს მხარს სირიის რევოლუციას. ჰატემმა ხაზი გაუსვა რომ არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები საბრძოლოდ არიან გამზადებული, სავსებით მზად არიან მხარი დაუჭირონ სირიელ ხალხს.

კაირო, 8 მარტი. (საკდესი). სირიის რადიომ გადასცა „სირიის რევოლუციური სარდლობის ეროვნული საბჭოს“ განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ სირია აღარ „იცხოვრებს იზოლირებულად“, რომ იგი მალლა ასწევს „არაბიზმისა და ერთობის დროშას“.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო გადატრიალება მოახდინეს შეიარაღებულმა ძალებმა და ზოგიერთმა სამოქალაქო პირმა, რომლებსაც სწამთ არაბთა ერთობა. არმია, აღნიშნულია განცხადებაში, მიზნად არ ისახავს სამხედრო რეჟიმის შექმნას.

„რევოლუციური სარდლობის ეროვნულმა საბჭომ, განაცხადა, რომ სირია დაიცავს ყველა საერთაშორისო ხელშეკრულებას, პატივს სცემს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, ბანდუნგის პრინციპებს, განახორციელებს პოზიტიური ნეიტრალიტეტის პოლიტიკას და ითანამშრომლებს ყველა ქვეყანასთან თანასწორობის საფუძველზე.

Ն. Ա. ԿՐՈՒՊՍԿԱՅԱՆ ԼԵՆԻՆԻՍՏՈՒՀԻ

[illegible] 8 մարտ. (սակդես). [illegible] ցերեկ մուտքանց 8 մարտ [illegible] Ուրբաթ երեկոյան Լենինգրադ մեկնեցավ Ն. Ա. Կրուպսկայան, որ ամբողջ ամառ անցկացրեց Ղրիմում, Ալուշտայի մոտ գտնվող Գուրզուֆ գյուղի մոտ գտնվող Ն. Ա. Կրուպսկայայի հանգստարանում։ Ն. Ա. Կրուպսկայան ուղևորվեց Ղրիմի գագաթնաժողովի նախորդ օրերին։ Ն. Ա. Կրուպսկայան ուղևորվեց Ղրիմ՝ Ն. Ս. Խրուշչովի հրավերքով

მთაო ბორბალო!

ბორბალოს მთაო, ძუძუმდიდარო,
ნაკადულების უტყვო დედილავ,
ძუძუს წოვება ხუთი მდინარის
ნეტავ რა გულმა გაგაბედინა!

შენ ალბათ დედას მისთვის
გადრიან,
რომ შენი დარდი ჩვენი დარდია,
რაც კი სიკეთე გარს გვახვევია,
შენი ხვავი და შენი მადლია.

შავ-შავ ღამეებს ათენებ თეთრად
და ერთხელაც არ ჩამოგეძინა,
ხუთი აკვანი დაგიდგამს ერთად,
და ხუთივეს ზრდი ასე ნებივრად.
მიმიტანია, ბორბალოვ, გულთან
შენი ნათქვამი ძილისპირული,
ჩვენ, მთაო, შენგან ვისწავლოთ
უნდა
დედობაცა და გულისტკივილიც.

მინდა ძალა და ნიჭი მოგვმადლო,
შენს მართალ გზას და სავალს
გავუგოთ,
ყველა დედა ქალს, მთაო
ბორბალოვ,
მუდამ შენ გვყვავდე სავარაუდოდ.

ეგ შენი ძუძუ ისე დიდია,
შენით ახელენ თვალებს ღვიანი,
ხუთი ვაჟკაცი გამოგიზრდია,
ხუთივე ასე სახელიანი.

მედეა კახიძე.

◇ დეკუტატობის კანდიდატები ◇

მიწის მბრძანებელი

მინდვრიდან დაბრუნებულ ალექსანდრეს ბუხუტა ბიჭი შეეგება. მამამ პატარა გოგი უღელზე შესვა და ხელმოკიდებული თუთის ხემდე გაატარა. მერე ძირს ჩამოსვა, კამეჩები უღლიდან გამოუშვა, უღელი და კაკი იქვე ხეზე აყუდა.

— სიდონია. ბავშვს გამოხედე. არაფერი იტკინოს, — შესძახა ალექსანდრემ მეუღლეს და კამეჩები გარეკა დასაბინავებლად.

ბიჭი ისევ ეზოში დახტოდა. აპრიალებულ სახნისს მიეკვლია მისი ყურადღება. ქვა აიღო და სახნისს უკაკუნებდა.

— გოგი, ახლავე აქ მოდი, — გაუწყრა დედა, — მამიკო გაგიჯავრდება, სახნისს პირი არ წაუხდინო.

— მერე რა, დედიკო, — თავისას არ იშლიდა ბიჭუნა.

— ის, რომ მამა მაგით ხნავს, თესავს და პური მოჰყავს. შენ ხომ გიყვარს პურის ყუა?

— პურის ყუა?... ჰოო, — გაიმეორა პატარამ.

დედამ ბიჭი შინ შეიყვანა. მაშინ გოგი ოთხი წლისა თუ იქნებოდა. კოლმეურნეობა ახლადჩამოყალიბებული იყო.

სოფელში პირველი ტრაქტორის შემოსვლა ახსოვს გიორგი ცერცვაძეს. ორღობეებში ტრაქტორს კისრისმტვრევით მისდევდა თანატოლებთან ერთად და ტრაქტორის გუთნის დიდრონი სახნისების დანახვაზე დედის სიტყვები ახსენდებოდა: „მაგით ხნავს მამა, მერე თესავს და პური მოჰყავს“.

გიორგის ბავშვობიდანვე ჩაენერგა ტრაქტორის სიყვარული, სწავლობდა სკოლაში და სულ იმაზე ოცნებობდა. კოლმეურნეობის პირველი ტრაქტორისტს გრიგოლ მარღიშვილს ეხვეწებოდა, ძია გრიშა, ტრაქტორისტობა მასწავლეო. ისიც აიმედებდა, ცოტა კიდევ დაიცადე, წამოიზრდები და გასწავლიო.

— 1941 წელი. ივნისი. გერმანელმა ფაშისტებმა სამკვდრო-სასიცოცხლო ომი მოახვიეს თავს ჩვენს ქვეყანას, ხალხს. სამშობლოს დასაცავად აღდგა საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხი. ომში წყვიდნენ ტირიფონის მადლიანი მიწის მცხოვრებნიც. ომში მიმავალი ალექსანდრე ცერცვაძე სოფლის ბოლომდე გააცილა უფროსმა ვაჟმა. წყაროსთან მამა-შვილმა ერთმანეთი გადაკოცნეს. გიორგი შინ გამობრუნდა. გზაში გრიგოლ მარღიშვილს შეხვდა.

— მამა, გააცილე. გოგი!?

— დიახ, ძია გრიშა!

— ომში წასულთა მაგიერ ახლა კოლმეურნეობაში ბევრი მუშახელია საჭირო. რას იტყვი, ტრაქტორისტობის ორთვიან კურსებზე რომ გაგგზავნით სურამში?

სიხარულისაგან თვალები აენთო გიორგის.

— წავალ, ძია გრიშა, წავალ!

— აბა, დედასაც შეეკითხე.

გიორგიმ შინისაკენ მოკურცხლა.

— დედა, ძია გრიშამ მითხრა, ტრაქტორისტობის კურსებზე გაგგზავნიო, გამიშვებ?

— რას ამბობ, ბიჭო! — ომში წასულ ქმარზე ფიქრით გართული უცებ ვერ გაერკვა, რას ეუბნებოდა შვილი.

— ტრაქტორისტობის კურსებზე მგზავნიან, გეხვეწები — გამიშვი.

— სად, შვილო, სახლიდან შორს ვერსად გაგიშვებ. შენს პატარა და-ძმებს ყურადღება უნდა. მარტო მე რას გავხდები?

— სურამი ხომ იცი? აი იქ ვიქნები, კურსები ორთვიანია, ისე გაირბენს, ვერც გაიგებ. დაკამთავრებ და მხარში ამოგიდგები.

... შვიდკლასდამთავრებული ტირიფონელი ბიჭი კურსებზე წავიდა. ეს იყო 1941 წლის ივლისი. შემოდგომაზე გიორგი უკვე ტრაქტორის საჭეს უჯდა. მუშობის პირველი გამოცდა სასახელოდ ჩაბარა. სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელს გრიგოლ მარღიშვილს მოსწონდა გიორგის ნამუშევარი. ამიტომ ხშირად იტყოდა ხოლმე: — ასეთი ახალგაზრდები ბევრი უნდა გვყავდეს, მაშინ სოფლის ეკონომიკების ომში წასვლა კოლმეურნეობას არ შეეტყობოდა.

გადიოდა თვეები. წლები... გიორგი ცერცვაძე უფრო და უფრო დახელოვნდა საყვარელ პროფესიაში. სასახელო შრომით თანასოფელელთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

სამამულო ომი საბჭოთა ხალხის გამარჯვებით დამთავრდა. ომგადახდილები სოფელში დაბრუნდნენ. არ დაბრუნებულა ალექსანდრე ცერცვაძე. სამუშაოდან შინ მომავალ გიორგის აუცილებლად იმ წყაროსთან უნდა გამოეგლო. სადაც დაემშვიდობა ომში მიმავალ მამას. აუცილებლად დაეწაფებოდა წყალს, მშობლის სიყვარულივით წმინდასა და მჩქეფარეს.

ჭირიფონის ველზე ზეღდულეთის სასოფლო-სამეურნეო არტელს ცენტრალური ადგილი უჭირავს. კოლმეურნეობას აქვს მძლავრი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, რომელიც ისეთ საიმედო ადამიანთა ხელშია, როგორიც არის სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი გიორგი ცერცვაძე. მიწის ეს მბრძანებელი საჭუშაოსათვის შერჩეული მანქანების კომპლექსით ცდილობს მიიღოს ყოველივე ის, რის მოცემაც შეუძლია ტირიფონის მადლიან ველს. ამიტომაც არის, რომ ამ სოფლის კოლმეურნეობა ეკონომიურად ძლიერია.

მუყაითი, ენერგიული შრომით მექანიზატორ გიორგი ცერცვაძეს ბევრჯერ გაუხარებია თანასოფელეთა გული. ერთი ასეთი სასიხარულო ამბავი იყო შაქრის ჭარხლის მოგლა-მოყვანის კომპლექსური მექანიზაცია, რომელიც რესპუბლიკაში პირველად სოფელ ზეღდულეთის კოლმეურნეობაში დანერგა ცერცვაძემ.

„კომუნის ტ ი ს“ მკითხველებმა იცით, რომ 1962 წელს, თებერვალში ზეღდულეთის კოლმეურნეობის მექანიზატორი გიორგი ცერცვაძე. ამავე კოლმეურნ ე ო ბ ი ს თამჯდომარე ამირან დემეტრაშვილი ყუბანში ეწვივნენ ვლადიმერ სვეტლიჩნის, რათა ახლო გასცნობოდნენ სახელოვანი მექანიზატორის საქმიანობას.

ყუბანიდან დაბრუნებისთანავე ცერცვაძე თავმჯდომარესთან ერთად შეუდგა შაქრის ჭარხლის მოგლა-მოყვანის ახალი წესის დანერგვას. შეიქმნა მექანიზებული რგოლი, რომელმაც დაიწყო ჭარხლის დასათესად ნიადაგის მომზადება. მიუხედავად იმისა, რომ მათ არ ჰქონდათ ყველა ის მანქანა, რომლებითაც სვეტლიჩნი მუშაობს, პირველ წელსვე შაქრის ჭარხალი საცდელად დათესეს 30 ჰექტარზე და სვეტლიჩნისებურად მანქანებით მოუარეს. ეს პირველი ცდა ხაყოფილი გამოდგა. ახალმა წესმა ვარაუდი გაამართლა — საშუალოდ ჰექტარზე 450 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მოიყვანეს. ამასთან მექანიზებულ რგოლს ცენტნერი ჭარხალი 80 კაპიკი დაუჯდა, კოლმეურნეობის ბრიგადებს კი — 1 მანეთი და 85 კაპიკი.

შარშან კოლმეურნეობაში ვლადიმერ სვეტლიჩნის მუშაობის მეთოდი ფართოდ დანერგეს. მთელი ფართობი — 70 ჰექტარი ერთღეროვანი „იალტუშოვსკის“ ჯიშის შაქრის ჭარხლის თესლით დათესეს და მოუარეს მანქანებით, სვეტლიჩნისებურად. შედეგი ასეთია: საშუალოდ ჰექტარზე 427 ცენტნერი ჭარხალი მიიღეს, ათეულათასობით შრომადღე დაზოგეს და ცენტნერი პროდუქცია 73 კაპიკი დაუჯდათ.

ცერცვაძე ხორბლისფერი სახის, ჯმუხი, ჯანმაგარი ჭაბუკია. უყვარს დინჯი და დამჯერებელი საუბარი. სვეტლიჩნის მეთოდზე რომ ჩამოვუგდეთ სიტყვა, პირდაპირ გვითხრა: ამ მეთოდის დანერგვაში თუ რამეს მიუღწიეთ, ეს ჩვენი სატრაქტორო ბრიგადის ტრაქტორისტების ანდრო ცერცვაძის, ვიქტორ გიგაურის, ჯემალ მანძულაშვილის და ზურაბ ცერცვაძის ეაქკაცობის შედეგია. მართლაც, შაქრის ჭარხლის მოგლა-მოყვანის ახალი წესის დანერგვაში სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელს მათ საქმიანად აუბეს მხარი.

— ისიც აღსანიშნავია, რომ სატრაქტორო ბრიგადა ყოველწლიურად 100 ჰექტარ სიმინდს უვლის კომპლექსური მექანიზაციით და მოსავლიანობის გეგმას ყოველთვის ასრულებს, — გვითხრეს კოლმეურნეობის კანტორაში.

ხალხი ამბობს: დიდება და სახელი შრომის ხელშიაო. ნამდვილად ასეა. წინასაარჩევნო კრებაზე ზეღდულეთელებს დიდი ფიქრი არ დასჭირვებიათ, თუ ვინ დაესახელებინათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

— ვინ დავასახელოთ და გიორგი ცერცვაძე. მაგაზე უკეთესი ჩვენ არავინ გვყავს!

— ასეა, ასე, — გაისმა ხმები დარბაზში.

კარგად იცის გიორგი ცერცვაძემ, რომ თანასოფელეთა ამ დიდ ნდობას გაორკეცებული შრომით უნდა უპასუხოს. ტირიფონელი მექანიზატორი ძალასა და ენერგიას არ იშურებს, რომ მიწის ნამდვილი მბრძანებელი იყოს.

გ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ეკონომიური ანალიზის საზოგადოებრივი ბიურო.“ — ასეთი წარწერა აქვს ტყიბულის დასავლეთის შახტის ადმინისტრაციული შენობის ერთ კაბინეტს. ჯერ ერთი წელიც არ გასულა, რაც მეშახტეებმა საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნეს ეს ორგანო, მაგრამ უკვე თვალნათლივ ჩანს მისი სასარგებლო საქმიანობა.

ეკონომიური ბიურო ხუთი კაცისაგან შედგება. მათს მუშაობას წარმართავს გამოცდილი სამთო ინჟინერი, შახტის უფროსი გ. რაზმაძე. პლენარულ სხდომებზე იმართება მსჯელობა ისეთ დიდმნიშვნელოვან ეკონომიურ საკითხებზე, როგორიც არის პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და ხარისხის გაუმჯობესება, შრომის ნაყოფიერების ზრდა, შრომატევადი პროცესების მექანიზაციაავტომატიზაცია და სხვ. ეკონომიური საბჭოს მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ საექსპლოატაციო უბნების ხელმძღვანელები, ცვლის უფროსები, ბრიგადირები და ნოვატორი მეშახტეები.

საზოგადოებრივი საწყისის ამ ახალი ფორმის შემოღებამ კარგი შედეგი გამოიღო. მთლიანად გამოსწორდა სამთო საწარმოს მუშაობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ნაკლი — კაბინეტური კარჩაკეტილობა და ვიწრო უწყებრივობა. ახლა ეკონომიური საკითხების განხილვა ხდება რიგითი მეშახტეების აქტიური მონაწილეობით. მუშებს, ნოვატორებს, რაციონალიზატორებს ყოველგვარი პირობა აქვთ შექმნილი, რათა თამამად, გაბედულად გამოთქვან თავიანთი აზრი ამა თუ იმ ეკონომიურ საკითხზე, იმსჯელონ ნაკლოვანებებზე, დასახონ მათი გამოსწორების გზები და საშუალებები.

დასავლეთის შახტში, ისე როგორც ტყიბულის ქვანახშირის მთელ სახადოში, დიდძალი ახალი სამთო ტექნიკა დაინერგა. მეშახტეები ყველაზე მეტ პატივს სცემენ ქვანახშირის მომხვეტ კონვეიერს. ამ შესანიშნავმა მანქანამ გააადვილა ქვანახშირის მიწისქვეშა ტრანსპორტირების რთული სამუშაო. მიწისქვეშა ჰორიზონტებიდან მთლიანად გამოყვანილი იქნენ გამგორები. ახლა თვითეულ კონვეიერს, რომელიც რამდენიმე ათეული გამგორის მძიმე შრომას ცვლის, მხოლოდ ერთი მემოტორე განაგებს.

მეშახტეებს, როგორც უებარი წამალი, ისე მიეშველათ ავტომატიკა. ქვანახშირის მომხვეტ კონვეიერთა დიდი ნაწილი ავტომატურ-დისტანციურ მართვაზე გადაიყვანეს. შემცირდა მემოტორეთა რიცხვი. დასავლეთი შახტის მეორე საექსპლოატაციო უბანში კი რაკომლაც თვეების მანძილზე გაჭიანურდა კონვეიერების ავტომატურ-დისტანციურ მართვაზე გადაყვანის დაწყებული სამუშაოები. ეს შეუმჩნეველი როდი დარჩათ ეკონომიური ბიუროს წევრებს. მდგომარეობის გამოსწორება ითავა შახტის მთავარმა ნორმადარმა ლ. კაპანაძემ. ითავა და კიდევაც გააკეთა, სულ მალე კონვეიერის სამი ხაზი გადაიყვანეს ავტომატურ-დისტანციურ მართვაზე. უბანში შემცირდა 6 მემოტორე, თვეში დაიზოგა 420 მანეთი.

წარმოებაში სიახლის დანერგვა ძნელი საქმეა. ამიტომ არის, რომ ზოგჯერ არაშორსმჭვრეტელი ხელმძღვანელები გაურბიან სახარგებლო წინადადების დანერგვას. ასეთი შემთხვევა დასავლეთ შახტშიც იყო. დიდი ხნის განმავლობაში პირველი და მეოთხე საექსპლოატაციო უბნები ერთ სამთო ველში მუშაობდნენ. ქვანახშირის გამოღების გადიდების ინტერესები მოითხოვდა მათ გაერთიანებას ერთ გამსხვილებულ უბნად. მაგრამ გამოჩნდნენ ამ აზრის მოწინააღმდეგენი. ისინი შიშობდნენ, „ვაი თუ არ გამართლდესო“.

ეკონომიურმა ბიურომ, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც დაუჭირა მხარი სიახლეს. შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა შეეხედა უბნების გამსხვილების საკითხი. კომისიის წევრებმა გულდასმით, დეტალურად შეისწავლეს საქმის ვითარება, ინახულეს ყველა მიწისქვეშა სანგრევი და ჰორიზონტი, მოეთათბირნენ რიგითს მეშახტეებს, გაიგეს მათი აზრი. კომისიის დასკვნის საფუძველზე შახტის უფროსმა გასცა ბრძანება პირველი და მეოთხე საექსპლოატაციო უბნების ერთ უბნად გაერთიანების შესახებ. მოხდა ის, რასაც აქ ბევრი არ მოელოდა. გამსხვილებულმა უბანმა ამოიღო 12.878 ტონა მაღალხარისხოვანი სათბობი, ანუ ათასი ტონით მეტი, ვიდრე ორივე უბანმა წინა თვეში. მარტო ადმინისტრაციული პერსონალის შემცირების შედეგად დაიზოგა დიდი სახსრები.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ეკონომიური პროგრესი — წარმატებათა ლოკომოტივი

„ძართველ ამხანაგებს, — თქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, — შეეძლოთ იამაყონ იმით, რომ თბილისში გაკეთებული ელმავლები დადიან ჩვენი დიადი ქვეყნის ბევრ ფოლადის მაგისტრალზე“.

მართლაც გვაქვს საამაყო. ისტორიულად ძალიან მოკლე დროში არა მარტო ავითვისეთ სერიულ წარმოებაში მყოფი ელმავლის წარმოება, არამედ კიდევაც გავაუმჯობესეთ იგი და შევეგებინეთ ახალი ქართული ელმავალი ვლ-10.

ქარხნის კოლექტივმა ელმავლების წარმოება 1957 წელს დაიწყო. განვლილ პერიოდში ითვისა ელმავლის ძირითადი კვანძების წარმოება და 1962 წელს იმდენი ელმავალი გამოუშვა, რომ ეს რამდენჯერმე აღემატება 1958 წლის დონეს.

საწარმოს კოლექტივი შვიდწლედის დავალებათა ვადაზე ადრე შესრულებია ინიციატორად გამოვიდა და ეალდებულება იკისრა 1963 წლისათვის ითვისოს შვიდწლედით დასახული საპროექტო სიმძლავრენი. გაწეული მუშაობის შედეგები ნათლად მეტყველებენ იმაზე, რომ დაპირებას შეეასრულებენ. წელს ჩვენ რესპუბლიკა ელმავლების მშენებლობის დარგში უკან მოტოვებს ისეთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყანას, როგორიც საფრანგეთია.

შვიდწლედის მეოთხე წელი წარმოების კოლექტივისათვის ყველაზე სასიხარულო იყო იმით, რომ ჩვენ მიერ გამოშვებულმა ქართულმა ელმავალმა ვლ-10 ბრწყინვალედ გაიარა საწარმოო გამოცდა რუსეთისა და საქართველოს ფოლადის მაგისტრალებზე და მალალი შეფასება მიიღო. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ელმავალი საბჭოთა კავშირში დღემდე გამოშვებულ ელმავალთა შორის ყველაზე მძლავრად ითვლება. მისი სიმძლავრე 7.072 ცხენის ძალას უდრის და 25 პროცენტით აღემატება სერიული 8-ღერძიანი ელმავლის სიმძლავრეს, ხოლო წონა 8 ტონით ნაკლებია ამ უკანასკნელთან შედარებით. ახალი ელმავლის კონსტრუქციული სიჩქარე 100 კილომეტრია საათში.

ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირში დღემდე არ არის ათვისებული სამგზავრო ელმავლების წარმოება. ისინი კი აუცილებელია სამგზავრო მატარებლების სიჩქარის გასაზრდელად. პირველი სამგზავრო ელმავლის 2ბ 21-01-ის საცდელი ნიმუში მოსკოვის ქარხანა „დინამომ“ გამოუშვა ჯერ კიდევ 1934 წელს, მაგრამ მთელ რიგ კონსტრუქციულ ნაკლოვანებათა გამო იგი არ იქნა სერიული წარმოებისათვის მიღებული. ჩვენი ქარხნის კოლექტივმა საკავშირო მთავრობისაგან მიიღო სპატიო დავალება — შექმნას 4-ღერძიანი ცალადი დენის სამგზავრო ელმავალი ვლ-40, რომლის კონსტრუქციული სიჩქარე საათში 160 კილომეტრი იქნება.

ამჟამად სამუშაო ნახაზების მიხედვით მომდინარეობს ელმავლის ცალკეული კვანძების დამზადება ლითონში. ეჭვი არ არის, რომ 1963 წელს გამოვუშვებთ პირველ საცდელ სამგზავრო ელმავალს.

მიუხედავად იმისა, რომ წარმოების კოლექტივს უხდება სერიულ წარმოებაში მყოფი ელმავლის კვანძების გაუმჯობესება, შეეკმენით ახალი ქართული ელმავალი და ვითვისებთ სამგზავრო ელმავლის წარმოებას, ქარხანა რენტაბელურია და სახელმწიფო დოტაცია არ ესაჭიროება. ახალი ტექნიკის დანერგვისა და შრომატევადი პროცესების მექანიზაციის შედეგად გეგმასთან შედარებით მკვეთრად ავამაღლეთ შრომის ნაყოფიერება და შეეამცირეთ ელმავლის თვითღირებულება. 1962 წელს მივიღეთ ხუგეგმითი მოგება და რესპუბლიკის ეკონომიკის ფონდში 170 ათასი მანეთი შევიტანეთ. აღსანიშნავია ისიც, რომ წინა წელთან შედარებით რამდენიმე მილიონი მანეთისაზე მეტი პროდუქცია გამოვუშვით.

სკკპ XXII ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის ისტორიული გადწყვეტილებებით შეიარაღებული ჩვენი ქარხნის კოლექტივი კიდევ უფრო აამაღლებს შრომის ტემპს და შვიდწლედის მეხუთე წელს გაბედული ნაბიჯით გასწევს წინ. შვიდწლედის ბოლოსათვის გათვალისწინებული საპროექტო სიმძლავრის ასათვისებლად.

მიღწეული წარმატებები მოპოვებულია ქარხნის მთელი კოლექტივის თავდადებული შრომით, ახალი ტექნიკისა და გაუმჯობესებული ტექნოლოგიის დანერგვის შედეგად. ელმავლის სიმძლავრისა და მისი კონსტრუქციული გაუმჯობესებათაოვის ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსებმა, რაციონალიზატორებმა და გამოგონებლებმა მრავალი საყურადღებო წიხადადება განახორციელეს.

ქარხნის კონსტრუქტორებმა ი. ივანიშვილმა და ნ. უსკოვამ გაუმჯობესეს ბუქსაობის რელეს კონსტრუქცია, რის შედეგადაც მიღწეულია ამ აპარატის მგრძნობიარობის ზრდა, გაბარიტული ზომების, წონის შემცირება და 60 პროცენტი ხარჯთნაზოგი ეკონომია.

საპაპარატო საამქროს უფროსმა ვ. გეგენავამ და ქარხნის მთავარმა კონსტრუქტორმა ე. ანირაგოვმა ელმავალზე გაუმჯობესეს დაბრკოლებაჩაძახშობი დროსელის ჩართვის სქემა, რითაც სანახევროდ შემცირდა ამ აპარატების რაოდენობა. ამ ღონისძიების განხორციელება საწარმოს წელიწადში 15 ტონა სპილენძს უზოგავს.

სერიოზული ყურადღება ეთმობა წარმოებაში პლასტმასის ნაკეთობათა დანერგვას. გამოშვებულია ვლ-8 ელმავლის საცდელი ნიმუშები, რომლებზეც დაყენებულია მართვის გენერატორები პლასტმასის კორპუსიანი კოლექტორებით. ამ ელმავლების საექსპლოატაციო გამოცდამ კარგი შედეგები მოგვცა. განზრახულია გვაქვს გამოვუშვათ ელმავლის საცდელი ნიმუშები, რომლებზეც დაყენებული იქნება კომპრესორისა და ვენტილატორის ძრავები პლასტმასით განხოლოებული კოლექტორებით. ეს საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად შევამცეროთ ელმავლის თვითღირებულება და უფრო სანიმღო გავხადოთ მისი მუშაობა.

ელმავლის სიმძლავრის გადიდებისა და მისი ძირითადი კვანძების მუშაობის მანქანური საამქროში დაინერგა თერმორეაქტიულ ლაქში ელექტრომანქანების ღუზების გაყოლვა, რამაც მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა ელექტრომანქანების ხარისხი.

თბილისის ელმავალსამშენებლო და რიგის ელექტრომანქანათმაშენებლო ქარხნების კოლექტივების შემოქმედებითი თანამშრომლობის შედეგად ვაწარმოეთ ცდები ელექტრომავლის მანქანათმშენებლობაში ძვირადღირებული მიკალენტის ნაცვლად ახალი პროგრესული საიზოლაციო მასალის — მინაესკაპონის დასანერგავად. აღსანიშნავია, რომ ამჟამად გამოყენებულ მიკალენტთან შედარებით მინაესკაპონის საიზოლაციო თვისება ორჯერ მაღალია, მისი მექანიური სიმტკიცე 4-ჯერ მეტია, ხოლო თვითღირებულება 5-ჯერ ნაკლები.

ამ მასალის შემდგომ ფართოდ დანერგვა წარმოებას საშუალებას მისცემს მოახდინოს ღუზის სექციების და პოლუსის კოჭების განმზოლოების პროცესის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია. ამ ღონისძიების დანერგვა ქარხანას წლიურად რამდენიმე მილიონ მანეთს დაუზოგავს და ბევრად უფრო სიმიდოს გახდის ელმავლის ექსპლოატაციას.

შარშან ამ ახალი საიზოლაციო მასალის გამოყენებით გამოშვებულ იქნა ელმავლის ვლ-8 საცდელი ნიმუშები, რომლებიც ამჟამად ბრწყინვალედ გადიან საექსპლოატაციო გამოცდას. განზრახულია გვაქვს გამოვუშვათ ელმავლის საცდელი ნიმუშები, რომლებზეც დაყენებული იქნება ორი ორი საცდელი ნიმუში. ოდაღრეძიანი ელმავლის სარესორო ღაკიდების სისტემის გაუმჯობესებით მნიშვნელოვნად ამაღლდება ელმავლის დინამიკური თვისებები. ამ ელმავლების გამოცდის შემდეგ გადაწყდება გაუმჯობესებული კონსტრუქციის სარესორო სისტემის წარმოებაში სერიული დანერგვის საკითხი.

ქარხანაში დიდი მუშაობა წარმოებს საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და ბარგზაციის დარგში. შემმნელი წევის ძრავის კორპუსების დამუშავების ნაკადური ხაზი, კონვეიერები რკინის გასალაქავად და საშრობად, სპეციალური წნეხები ღუზის აწყობის მექანიზაციისათვის, დამონტაჟებული და საექსპლოატაციოდ გადაცემული ავტომატური და ნახევრადავტომატური ჩარხები. ჩვენი ტემპით მომდინარეობს ელმავლის ელექტრომანქანების კოლექტორის ფირფიტების ავტომატური დამამზადებელი ხაზის მოწყობა, რომელიც მოკლე დროში გადაეცემა საექსპლოატაციოდ.

ი. ზერეკიძე,
თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის დირექტორი.

„კომუნისტი“
მე-2 გვერდი, შაბათი,
9 მარტი, 1963 წ.

კონტროლის პროექტორი შახტში

ეკონომიური ანალიზის საზოგადოებრივი ბიურო.“ — ასეთი წარწერა აქვს ტყიბულის დასავლეთის შახტის ადმინისტრაციული შენობის ერთ კაბინეტს. ჯერ ერთი წელიც არ გასულა, რაც მეშახტეებმა საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნეს ეს ორგანო, მაგრამ უკვე თვალნათლივ ჩანს მისი სასარგებლო საქმიანობა.

ეკონომიური ბიურო ხუთი კაცისაგან შედგება. მათს მუშაობას წარმართავს გამოცდილი სამთო ინჟინერი, შახტის უფროსი გ. რაზმაძე. პლენარულ სხდომებზე იმართება მსჯელობა ისეთ დიდმნიშვნელოვან ეკონომიურ საკითხებზე, როგორიც არის პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და ხარისხის გაუმჯობესება, შრომის ნაყოფიერების ზრდა, შრომატევადი პროცესების მექანიზაციაავტომატიზაცია და სხვ. ეკონომიური საბჭოს მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ საექსპლოატაციო უბნების ხელმძღვანელები, ცვლის უფროსები, ბრიგადირები და ნოვატორი მეშახტეები.

საზოგადოებრივი საწყისის ამ ახალი ფორმის შემოღებამ კარგი შედეგი გამოიღო. მთლიანად გამოსწორდა სამთო საწარმოს მუშაობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ნაკლი — კაბინეტური კარჩაკეტილობა და ვიწრო უწყებრივობა. ახლა ეკონომიური საკითხების განხილვა ხდება რიგითი მეშახტეების აქტიური მონაწილეობით. მუშებს, ნოვატორებს, რაციონალიზატორებს ყოველგვარი პირობა აქვთ შექმნილი, რათა თამამად, გაბედულად გამოთქვან თავიანთი აზრი ამა თუ იმ ეკონომიურ საკითხზე, იმსჯელონ ნაკლოვანებებზე, დასახონ მათი გამოსწორების გზები და საშუალებები.

დასავლეთის შახტში, ისე როგორც ტყიბულის ქვანახშირის მთელ სახადოში, ბევრი ახალი ტექნიკა დაინერგა. ამ შესანიშნავმა მანქანამ გააადვილა ქვანახშირის მიწისქვეშა ტრანსპორტირების რთული სამუშაო. მიწისქვეშა ჰორიზონტებიდან მთლიანად გამოყვანილი იქნენ გამგორები. ახლა თვითეულ კონვეიერს, რომელიც რამდენიმე ათეული გამგორის მძიმე შრომას ცვლის, მხოლოდ ერთი მემოტორე განაგებს.

ეკონომიურმა ბიურომ, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც დაუჭირა მხარი სიახლეს. შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა შეეხედა უბნების გამსხვილების საკითხი. კომისიის წევრებმა გულდასმით, დეტალურად შეისწავლეს საქმის ვითარება, ინახულეს ყველა მიწისქვეშა სანგრევი და ჰორიზონტი, მოეთათბირნენ რიგითს მეშახტეებს, გაიგეს მათი აზრი. კომისიის დასკვნის საფუძველზე შახტის უფროსმა გასცა ბრძანება პირველი და მეოთხე საექსპლოატაციო უბნების ერთ უბნად გაერთიანების შესახებ. მოხდა ის, რასაც აქ ბევრი არ მოელოდა. გამსხვილებულმა უბანმა ამოიღო 12.878 ტონა მაღალხარისხოვანი სათბობი, ანუ ათასი ტონით მეტი, ვიდრე ორივე უბანმა წინა თვეში. მარტო ადმინისტრაციული პერსონალის შემცირების შედეგად დაიზოგა დიდი სახსრები.

ვ. ცირეკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ქარხნის წარმატება

თბილისის სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათმშენებლობის სამმართველოს ლითონკონსტრუქციების ქარხნის (დირექტორი ა. ფილიპოვი) კოლექტივი ახალი შრომითი მაჩვენებლებით ხვდება საქართველოს უმაღლესი საბჭოს და ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეს. ქარხნის მშრომელებმა თებერვლის გეგმა ვადაადე 111 პროცენტით შეასრულეს, გეგმის გადაჭეტებით 10 ათას 300 მანეთის პროდუქცია გამოუშვეს.

ქარხანაში ყველა ბრიგადა და სამამქრო კარგად მუშაობს, მაგრამ შედარებით უფრო კარგი შრომითი მაჩვენებლები აქვს ლითონკონსტრუქციების ამწყობ ბრიგადას, რომელსაც ა. ყიფიანი ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადის წევრებმა მუყაითი შრომით თებერვლის გეგმა ვადამდე 140 პროცენტით შეასრულეს.

ფულადი ანაგზაურება კოლმეურნეებს

თელავი. (საკ. კორ.). მეოთხე წელია, რაც სანირორის კოლმეურნეობა „პირველი მაისი“ ფულად ანაზღაურებაზე გადავიდა. კოლმეურნეები ყოველი თვის ბოლოს ღებულობენ გამომუშავებული შრომადღეების საზღაურს. ამ ღონისძიებამ შრომის დისციპლინა განამტკიცა. 1953 წელთან შედარებით სახიორელებმა სამჯერ და მეტად გაადიდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება.

შრომა უხვად ნაზღაურდება. მიხეილ მელიქოვმა და მისმა მეუღლემ ეკატერინამ შარშან 2.878 მანეთი ფული მიიღეს, გ. შავაძის ოჯახმა — 2.813 მანეთი, მწყემსმა ე. გიორგელაშვილმა — 2.241 მანეთი, მწყემსმა ს. მელიქოვმა — 2.133 მანეთი და ა. შ.

მომდინარე წლის იანვარში გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით კოლმეურნეებმა 15 პროცენტით მეტი ფული მიიღეს.

წერილი რედაქციას

რატომ დაგვიგვიანეთ?

ალვანის საბჭოთა მეურნეობის [illegible] [illegible] [illegible]

მეგობრობის ატმოსფეროში

ბუქარესტი, 8 მარტი. (საკდესი). 26 თებერვლიდან 5 მარტამდე რუმინეთის დედაქალაქში მიმდინარეობდა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ტრანსპორტის მუდმივი კომისიის მე-11 სხდომა. სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის დელეგაციები, აგრეთვე ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მეთვალყურენი.

კომისიამ დაამტკიცა საერთაშორისო ტვირთზიდვის 1963-1965 წლების გეგმები, განიხილა საზღვაო ნავსადგურების განვითარებისა და გამოყენების, ტექნიკური და დამხმარე ფლოტის ტიპიზაციის, ავტომაგისტრალების გეგმაზომიერი რეკონსტრუქციის, სახალხო მეურნეობაში სამოქალაქო ავიაციის გამოყენების საკითხები. მიღებულია გადაწყვეტილება, რომ შემუშავებულ იქნეს საერთაშორისო სამგზავრო ტრანსპორტის მიმოსვლის გაუმჯობესებისა და განვითარების უახლოესი პერიოდის კომპლექსური პროგრამა.

კომისიის სხდომა მეგობრობისა და თანამშრომლობის ატმოსფეროში მიმდინარეობდა.

აღშფოთება ოკინავაზე

ტოკიო, 7 მარტი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესმა კომისარმა ოკინავაზე გენერალმა კარუეემ გააკრიტიკა საკანონმდებლო კრებაზე იაპონიის ეს კუნძულები, რომლებიც მოითხოვენ თვითგამორკვევის უფლების მინიჭებას. მან განაცხადა, ოკინაველებს ჯერ არ მიუღწევიათ იქამდე, რომ თავიანთი საქმეები თვითონ გადაჭრანო.

ამრიგად, ვაშინტგონმა თავისი ემისარის პირით კვლავ დაადასტურა, რომ ურყევია პენტაგონის გეგმები: არ მიანიჭოს თვითგამორკვევა ოკინავას, არ დაუბრუნოს იაპონიას ოკინავის კუნძულები, რომლებიც თავიანთ ატომურ ბაზად გადააქცევს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა.

ამერიკელი გენერლის განცხადებამ დიდი გულისწყრომა გამოიწვია იაპონიის ამ კუნძულებზე, რომელთა ოკუპაციაც ამერიკელებმა მოახდინეს, და დიდი შეშფოთება გამოიწვია თვით იაპონიაშიც. ამ განცხადების წინააღმდეგ პროტესტი გამოთქვეს ოკინავის სოციალისტურმა მასსობრიემა პარტიამ და სახალხო პარტიამ.

როგორც კიოდო ცუსინის სააგენტო იუწყება, ოკინავის პროფკავშირულ და დემოკრატიულ ორგანიზაციათა კოხფერენციებმა, რომლებიც უკანასკნელ დღეებში გაიმართა, გადაწყვიტეს მოითხოვონ, რომ კარაუემ დატოვოს ოკინავა. კარაუეს დაუყოვნებლივ გადადგომა მოითხოვა აგრეთვე ოკინავის სახელმწიფო და საზოგადოებრივ საწარმოთა და დაწესებულებათა მუშების პროფკავშირთა ფედერაციამ მიტინგზე, რომელიც გუშინ გაიმართა ქალაქ ნახაში. იაპონიის მთავრობამ, რომელიც ითვალისწინებს ამ განცხადების შორს გამიზნულ შედეგებს, სასწრაფოდ გამოსთხოვა ტელეგრაფით თავის წარმომადგენელს ნახაში განცხადების სრული ტექსტი.

კიოდო ცუსინის სააგენტო აღნიშნავს, რომ ამ განცხადებას შეუძლია კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინოს იაპონიისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის შემდგომ განვითარებაზე.

პროტესტი დასავლეთ ბერლინის სენატისადმი

ბერლინი, 8 მარტი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საელჩოს საკონსულო განყოფილების გამგე ვ. მ. მალინკინი ეწვია გუშინ დასავლეთ ბერლინის სენატს და გერმანიაში საბჭოთა უმაღლესი კომისრის, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სსრ კავშირის ელჩის პ. ა. აბასიმოვის სახელით განაცხადა მტკიცე პროტესტი პროვოკაციის წინააღმდეგ, რომელიც მოხდა მიმდინარე წლის 5 მარტს ღამით, იმასთან დაკავშირებით, რომ დასავლეთ ბერლინში აფეთქება მოაწყეს „ინტერნატის“ საბჭოთა წარმომადგენლობის შენობაში.

მან გამოთქვა იმედი, რომ დასავლეთ ბერლინის ხელისუფალნი საჭირო ღონისძიებებს განახორციელებენ, რათა აღმოაჩინონ დამნაშავეები, მკაცრად დასჯონ ისინი და მომავალში არ დაუშვან ამგვარი მოქმედება.

შეხვედრა „თოვლის ვეფხვთან“

მთელი მსოფლიო გააოცა უმამაცესმა ალპინისტმა თენსინგ ნორგეიმ, რომელმაც აიღო „დედამიწის სახურავი“, უმაღლესი მწვერვალი ევერესტი. ამ ზვიადი მწვერვალის გმირ დამპყრობს „თოვლის ვეფხვი“ უწოდეს. ამჟამად თენსინგ ნორგეი სტუმრად იმყოფება საბჭოთა კავშირში.

6 მარტს დილის 10 საათზე თენსინგ ნორგეი საბჭოთა ალპინისტებთან ერთად შეუდგა კავკასიონის უმაღლესი მწვერვალის იალტაზე აღებას. ჯგუფის მეთაურია სპორტის დამსახურებული ოსტატი იოსებ კახიანი. „თოვლის ვეფხვთან“ ერთად იალტაზე უტევენ ლენინგრადელი გერმანე აგრანოვსკი, ქართველი მთამსვლელები მიხეილ ხერგიანი, ჯუმბერ კახიანი, ბალყარელი აბილ მურზაევი და თარჯიმანი ევგენი გიენრიეტერი.

ხელსაყრელი ამინდის შემთხვევაში თენსინგ ნორგეი და საბჭოთა ალპინისტების ჯგუფი 8 მარტს უნდა ასულიყვნენ იალტაზზე. თენსინგმა თავის ქალაშვილს მისცა სიტყვა, რომ ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს შეხვდება იალტაზზე.

ჭკვიმოთ ვბეჭდავთ მიხეილ სახოკიას წერილს, თუ როგორ იწახულა შარშან ინდოეთში მოგზაურობის დროს ინდოეთ-საბჭოთა ბოტანიკურმა ექსპედიციამ მსოფლიო დიდებით მოსილი „თოვლის ვეფხვი“.

◇ ◇

შარშან, მარტის დასაწყისში, საბჭოთა ბოტანიკოსები გავემგზავრეთ ინდოეთში, როგორც ინდოეთ-საბჭოთა სამეცნიერო ბოტანიკური ექსპედიციის წევრები. საჰაერო ტრასა მოსკოვ-ტაშკენტი გავლილია. შუადღისას თვითმფრინავი მოსხლტა ტაშკენტის აეროდრომს. ჯერ გაეშურა ჩინეთისაკენ, გადასჭრა ტიან-შანის ქედი, შემდეგ უდაბნო ტაკლა-მაკანი, ხოლო ქალაქ ხოტანთან შებრუნდა სამხრეთისაკენ და გასწია დელის მიმართულებით.

მალე თავზე მოვიქეცით ჰიმალაის მთებს. ხარბად გავცქერით აღმოსავლეთისაკენ — იქნებ დავინახოთ დედამიწის უმაღლესი მწვერვალი, მისი შესამე პოლუსი, ჯომოლუნგმა (ევერესტი). მაგრამ ამაოდ. ჰიმალაის მთების ის ნაწილი ღრუბლების სამოსელშია გახვეული. უფრო ახლოს კი მაღლა აშვერილა ციცაბო, თოვლიან-კლდოვანი კალთებით დამშვენებული, კოხესისებრი მთა. ჭვერი მისი თითქოს ცას მიბჯენოო. ბგონი, ის ერთ-ერთი „რვაათასიანი“ მწვერვალია — ხაულგირი. იგი ვითომც დარაჯივით დგას ჯომოლუნგმას მისადგომებზე. მისი ერთბაშად დანახვა ადამიანს ეროვგარ შიშს ჰგვრის. სწორედ ამ მთამ მომგონა ჯომოლუნგმას მწვერვალის დაპყრობის ისტორია და მისი გმირები თენსინგ ნორგეი, ედმუნდ ჰილარი. ვფიქრობ, ნუთუ ვერ ვნახავ თენსინგს, ამ არაჩვეულებრივ პიროვნებას, წოდებულს „თოვლის ვეფხვად“, რომელმაც ღირსეულად დამპახურა მსოფლიოში ყველა ადამიანის სიმპათია. რატომღაც გამეელვა უიმედობის აზრმა. მაგრამ, როგორც შემდეგში გაირკვა, ჩვენს გულუხვ მასპინძლებს, ინდოელ ბოტანიკოსებს, ექსპედიციის მუშაობის პროგრამაში შეეტანათ ქალაქ დარჯილინგში სამუშაოდ ჩვენი გამგზავრება და აგრეთვე შეხვედრა თენსინგთან.

ინდოეთის ჰიმალაის ქალთებზე თვენახევრის განმავლობაში მოგზაურობის შემდეგ, 16 აპრილს, ჩავედით დარჯილინგში — ადგილი, სადაც „ალპინიზმის სატახტო ქალაქში“, რომელიც ინდოეთში ერთ-ერთი საუკეთესო საგარაკო ადგილია (სხვათა შორის, სახელწოდება დარჯილინგი წარმოშობილია ტიბეტური სიტყვებისაგან — „დორჯი ლინგ“, რაც ნიშნავს „ჭექა-ქუხილის ისარს“, ე. ი. ელვას, და დაკავშირებულია ერთ-ერთ ლეგენდასთან. ირსებობს ამ ქალაქის სახელწოდების მეორენაირი ახსნაც, რომლის თანახმად იგი ჰინდურია და ნიშნავს — „ძნელმისადგომს“).

დარჯილინგიდან მშვენიერად ჩანს მთა კანჩენჯანგა, გადაფარებული თოვლის სუდარით. ეს მთა უფრო კარგად დავინახეთ 19 აპრილს სანდაკფუს მაღლობიდან (3615 მ), მზის ამოსელისას. მისმა არაერთხელ ნახვამ და საერთოდ ჰიმალაის მთებში მოგზაურობამ გამიძღიერა „თოვლის ვეფხვის“ ნახვის სურვილი.

22 აპრილია. ინდოეთის ბოტანიკური დეპარტამენტის დირექტორმა პროფესორმა სან გუპტამ, რომელიც ჩვენს ექსპედიციას უწევდა ხელმძღვანელობას, დილით მოულოდნელად გამოგვიცხადა:

— გუშინ, გაფს�ეთ ქართველი ალპინისტების ... [illegible] ... ალპინისტ ... ბ ... ბ ... ...

ხალხს — წრფელი გულით

რედაქციაში მოქანდაკე კ. ბაკურაძის წერილი შევიღეთ, იგი გვატყობინებს ექიმ-კოსმეტიკოსი ქალის ქეთევან იაშვილის კეთილშობილურ მოქმედებას. იაშვილმა თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს უსასყიდლოდ გადასცა თავისი კოლექცია — ფერწერის შესანიშნავი ტილოები, რომელთა ღირებულება, სპეციალისტების აზრით, 40.000-ზე მეტ მანეთს შეადგენს.

წერილმა დაგვაინტერესა, გადავწყვიტეთ გვენახა ეს შესანიშნავი ქალი, გავცნობოდით მის ცხოვრებას. ამ მიზნით ვეწვიეთ ქეთევან იაშვილს თბილისში, ჭუჩიშვილის ქუჩაზე.

კარი თეთრხალათიანმა, საშუალო ტანის ქალმა გაგვიღო. მისვლის მიზეზი რომ გაიგო, სიამოვნებით მიგვიპატიჟა.

— სრულიად არ ველოდი, თუ ჩემი კოლექციის ამბავი ასე გახმაურდებოდა, — გვითხრა მან, — ახლახან აქ იყო „ნედელიას“ კორესპონდენტი, იყვნენ სხვა გაზეთებისა და ჟურნალების წარმომადგენლები.

ქეთევან იაშვილი

• • •

ფათვალიერებთ კედლებზე გაკრულ ფერწერულ ტილოებს. თვალს ვერ მოაშორებ ძვირფას ჩარჩოებში ჩასმულ ლამაზ პეიზაჟებსა თუ პორტრეტებს. გგონია, რომ ხელოვნების რომელიმე მუზეუმში მოხვედი.

ქეთევანთან სტუმრად მოსულან მისი ძველი მეგობრები, ულოცავენ ასეთ კარგ გადაწყვეტილებას. ზოგი გაკვირვებასაც გამოთქვამს, როგორ დათმო ძვირფასი საგანძური ხელოვნების ეს ოდენ მოყვარულმა.

— არა, ოდნავაც არ ვნანობ, რომ ჩემი ბინის კედლები მალე დაცარიელდება, ამბობს ქეთევანი. — ეს სურათები ხომ ხალხის კუთვნილება იქნება. მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე ბევრისთვის გამიკეთებია კარგი, ბევრს დავხმარებივარ, ნათესავი იქნებოდა ის თუ ამხანაგი, ახლა კი მინდა ჩემი დანაზოგით შეძენილი სურათები მუზეუმს ამშვენებდეს.

— პატივცემულო ქეთევან, წერილში გკითხულობთ, რომ თქვენ მალე ოთხმოცი წელი შეგისრულდებათ. ხომ არ ცდება ავტორი? — ვეკითხები დიასახლისს, რომლის ცოცხალი გამომეტყველება, სწრაფი მოძრაობა სრულებითაც არ მოწმობს მის ხანდაზმულობას.

—დიახ, მალე ოთხმოცი წელი შემისრულდება. დავიბადე 1883 წელს სპარეულში, თელავის მახლობლად სოფელ შალაურში, და ქეთევანი ჰყვება თავის ცხოვრებას.

მერაბ იაშვილი, ქეთევანის მამა. გაღარიბებული აზნაური ყოფილა. მამის წინაპრები რაჭიდან ჩამოსახლებულან კახეთში. ქეთევანს გარდა მერაბს კიდევ სამი ქალი ჰყოლია. ძალიან განიცდიდა თურმე უძეობას. გადაწყვიტა ქალებისათვის მაინც მიეცა განათლება. ამ მიზნით მიაბარა ისინი თელავის წმიდა ნინოს სასწავლებელში. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ქეთევანი ცოტა ხანს მუშაობდა თელავში მასწაულებლად. მაშინ კახეთის ეს უძველესი ქალაქი საქართველოს ერთ-ერთ კულტურულ ცენტრად ითვლებოდა. აქ ჩამოდიოდნენ ხოლმე ვიქტორ და დავით გამყრელიძეები და მართავდნენ წარმოდგენებს. თელავის ხშირი სტუმარი იყო შალვა დადიანის დასი. აქ ახლოს გაეცნო იგი ალექსანდრე ახმეტელს, ტასო როსტომაშვილს.

ქეთევანი მოემზადა ლათინურში, სამი წელი იმსახურა კიდეც ვოლოხოვასთან. იქ გამგედ მუშაობდა ვინმე გერმანელი ანტენი. იგი ხატვით ყოფილა გატაცებული და ტილოზე გადაჰქონდა კახეთის მომხიბლავი პეიზაჟები. ქეთევანი ადევნებდა თვალს მის მუშაობას. სურვილიც ჰქონდა შეესწავლა მხატვრობა.

იმხანად საქართველოში ჯერ არ იყო უმაღლესი სასწავლებელი, და ქეთევანს აფთიაქის თანაშემწის მოვალეობის უფლების მისაღებად ხარკოვს მოუხდა გამგზავრება. იქ ჩაბარა გამოცდები, შემდეგ კი კვლავ მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდა.

— პირველი სურათი 1930 წელს შევიძინე, — განაგრძობს ჩვენი მასპინძელი. — ეს იყო ბრუნოს „ციხე-სიმაგრის აღება დაღესტანში“. როცა ეს სურათი ვნახე, მამის ნაამბობი გამახსენდა. ის ხშირად ბავშვობაში გვიყვებოდა დაღესტნის ბრძოლების ეპიზოდებს. შემდეგ საგამოფენო კარადა შევიძინე ერთი ერი მდიდარი მკერავისაგან, გვარად შიუკაშვილისაგან. მისგანვე ვიყიდე ნ. სერჩკოვის სამი პეიზაჟი.

სამუზეუმო კარადაზე ეწყო ბრინჯაოს მცირე ზომის ქანდაკებები. მასპინძელმა აგვიხსნა, რომ ისინი იაპონური ღმერთების გამოსახულებაა და იაპონელ ოსტატებს ეკუთვნით. ეს ქანდაკებები მას სულ იაფად უყიდია ვინმე მეფეედევისაგან.

ქეთევანი გვაცნობს თავის კოლექციას, გვიყვება თვითეული სურათის შეძენის ისტორიას. კედელზეა ხელით ნაკერი გობელენი— ზანგი ბიჭი ძაღლებით. ვინ იცის, რომელი ქვეყნის ოსტატის მიერ არის შესრულებული. ჰოლანდიური პეიზაჟები, ცნობილი რუსი მხატვრის ნ. კლოდტის — ტყის პეიზაჟი. ქართველი რეალისტი მხატვრის გიგო გაბაშვილის დიდი ნატურმორტი, მისივე „ალავერდი“ და აკვარელი „ბაზარი“.

გადავდივართ მეორე ოთახში. აქაც ლამაზ ჩარჩოში ჩასმული სურათები. აი, კ. პილოტის ტილო — მეფე ლუდოვიკო IV ტყვედ იაკობინელებთან, კ. მაკოვსკის — ოჯახური პორტრეტი.

— მაკოვსკის სურათი სრულიად განადგურებული შევიძინე. მასზე გამოსახული არიან მხატვრის მეუღლე, მისი ქალიშვილი და ორი გოგონა. მაკოვსკის ქალიშვილი ცოლად გაჰყოლია ვინმე ფრანგს, სურათი კი მისმა მეგობარმა გაყიდა. შემდეგ იგი გადადიოდა ხელიდან ხელში. როცა ვიყიდე, სპეციალისტს მივეცი რესტავრაციისათვის და მგონი ახლა ურიგოდ არ გამოიყურება.

ქეთევან იაშვილის კოლექციაშია გამოჩენილი რუსი მხატვრის ი. აივაზოვსკის სამი პეიზაჟი. მისი ნიჭიერი მოწაფის ლ. ლაგორიოს — ზღვის პეიზაჟი, ი. კრამსკოის — პორტრეტი, უცნობი ოსტატის მიერ სპილოს ძვლისაგან შესრულებული მადონა, ალაჯანოვის — პეიზაჟი დე-ლუკის — მეთევზის პორტრეტი, ფრანკეს — კახეთის პეიზაჟი და ხელოვნების კიდევ მრავალი სხვა ნიმუში, რომელთა ავტორების ნაწარმოებნი ამშვენებენ საქართველოს, რუსეთისა თუ უცხო ქვეყნების გამოფენებს.

და რა სასიამოვნოა, რომ ხელოვნების ეს ძვირფასი ქმნილებები, რომლებიც მათს პატრონს მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში შეუძენია, ახლა ხალხის საკუთრება გახდება.

— მინდა, რომ ჩემი ოთხმოცი წლისთავისათვის სურათების ეს კოლექცია უკვე თელავის მუზეუმში იყოს, — ნატრობს ქეთევანი.

კოლექცია კი არც ისე პატარაა — 42 ფერწერული ტილო, ორიგინალი თუ ასლი, აგრეთვე ქანდაკებები და სხვა ნივთები.

ლარისა ხუბულური.



ქეთევან იაშვილის ძვირფასი საჩუქარი

უცნობი იტალიელი მხატვრის სურათი „მადონა“.

სურათებზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) გ. გაბაშვილი — „ალავერდი“; კ. მაკოვსკი — „ოჯახური პორტრეტი“, უცნობი ჰოლანდიელი მხატვრის ფერწერული ტილო „ძროხები“.

ქართველ მეცნიერს საკავშირო პრემია

ხამ წელიწადში ერთხელ სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემია ფსიქიატრიაში საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომს ანიჭებს ვ. მ. ბეხტერევის სახელობის საკავშირო პრემიას. წელს პრემია შრომისათვის „ზოგიერთი კლინიკურ-თეორიული ძიება ფსიქიატრიაში“ მიენიჭა ცნობილ ქართველ მეცნიერს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექტორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს აკადემიკოს აკლიპი ზურაბაშვილს.

ა. ზურაბაშვილის შრომა, რომელიც 1961 წელს გამოსცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ, ეხება თანამედროვე ფსიქიატრიის, ნეიროპათოლოგიის, ნეირომორფოლოგიის, ნეიროფიზიოლოგიის ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვან პრობლემებს.

აღნიშნულ შრომას დიდი ინტერესით შეხვდნენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. ცნობილმა რუმინელმა მეცნიერმა აკადემიკოსმა კრეინდლერმა, ჩეხმა პროფესორებმა ჰადლიკმა, ჩერნიმ მას მაღალი შეფასება მისცეს. პოლონელმა მეცნიერმა იუსმა შრომა პოლონურ ენაზე თარგმნა. ფრანგულმა ჟურნალმა „ევოლუსიონ ფსიქიატრიამ“ აკადემიკოს კუპერნიკის ვრცელი სტატია მიუძღვნა ქართველი მეცნიერის წიგნს.

აკადემიკოსმა „ავლიპი ზურაბაშვილმა ჩვენს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— ჩემთვის მეტად სასპტიოა ცნობილი მეცნიერის ვ. მ. ბეხტერევის სახელობის პრემიის მიღება და ეს მიმაჩნია ქართული ფსიქონეგროლოგიური სკოლის აღიარებად.

„ვოლგა“ ლატარიის ბილეთით

ჟუთაისი. (საკ. კორ.). ამ დღეებში „ჟუთაისვაგონის“ № 28 მალაზიის თანამშრომელმა აკაკი ქვაჩაკიძემ ქალაქის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარადგინა 1963 წლის ფულისა და ნივთების ლატარიის პირველი № 047 ბილეთი, რომელსაც მოგებად ხვდა მსუბუქი ავტომანქანა „ვოლგა“.

ჟუთაისში მცხოვრებმა მოქალაქემ შოთა გოგოლაშვილმა ამავე გამოშვების ლატარიის ბილეთით მოიგო პიანინო.

„ბეცხლი ყინულზე“

სტოკჰოლმი. აქ მიმდინარეობს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში.

გუშინ გაიმართა მორიგი შეხვედრები. კანადელმა ჰოკეისტებმა დამარცხეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდი 6:0, ხოლო ფინელებმა — ამერიკის შეერთებული შტატების ჰოკეისტები 11:3.

გვიან ღამით შედგა ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური ასპარეზობა სსრ კავშირისა და შვეიცის ნაკრებ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს შვედებმა ანგარიშით 2:1.

საქართველოს საჭადრაკო ჩემპიონატი

ათი ტურის შემდეგ

ათი ტურის შემდეგ გადადებული პარტიების დამთავრებასთან ერთად გაიმართა დ. ჯანოევ-ბ. გურგენიძის გამოტოვებული შეხვედრაც. საქართველოს ჩემპიონმა სიცილიურ პარტიაში მიმართა ერთ-ერთ ძველებურ დაცვას, რომელსაც „შევენინგენის ვარიანტი“ ეწოდება და ფრიად აგრესიულად გაითამაშა იგი. ეტყობა ჯანოევისათვის მოულოდნელი იყო ასეთი არჩევანი — ყოველ შემთხვევაში მან დებიუტშივე შეცდომა დაუშვა. მალე გურგენიძემ მოიგო პაიკი. ძლიერ ორმხრივ ცაიტნოტში ოსტატმა ხარისხის მოხდენილი შეწირვით აამძრავა გამსვლელი პაიკი და აიძულა ჯანოევი შეეწყვიტა წინააღმდეგობა.

„უხვი მოსავალი აიღო“ თ. კიკინამ, რომელიც სამ პარტიას ამთავრებდა. ჯერ იგი უკვე სამი სვლის შემდეგ შეუთანხმდა ყაიმზე ნ. გაფრინდაშვილს, რადგან არცერთ მეტოქეს არ აღმოაჩნდა მოგებაზე თამაშისათვის საჭირო რესურსები. შემდეგ თ. კიკინამ ზუსტად გამოიყენა მატერიალური უპირატესობა და დამარცხება აგემა მ. შიშოვს. მან კიდევ ერთი ქულა მოიპოვა მ. თხელიძესთან შეხვედრაში.

ინტერესს იწვევდა ნ. გაფრინდაშვილი-გ. კალატოზიშვილის პარტიის დამთავრება, სადაც მსოფლიოს ჩემპიონს ორი ზედმეტი პაიკი ჰქონდა. ბრძოლის განახლებისას გ. კალატოზიშვილმა ქალთა დღესთან დაკავშირებით საჩუქარი მიართვა მეტოქეს, მაგრამ არც კი ფიქრობდა ქულის დათმობაზე. იმის გამო, რომ გ. კალატოზიშვილის ფიგურები მეტად აქტიურად იყვნენ განლაგებულნი, მან არ გასჭირვებია თეთრების მეჭარის მოგერიება და ყაიმს მიაღწია.

თ. ლომაიამ იოლად სძლია ა. კირვალიძეს, ე. მიქაელიანმა — გ. ჭანტურიას. თ. გიორგაძე, რომელსაც ადრე მოსაგები პოზიცია ჰქონდა, იძულებული გახდა ყაიმს დასჯერებოდა ა. იზვოზჩიკოვთან. ასეთივე შედეგით დამთავრდა ა. ბლაგიძე-ი. ჩიქოვანის პარტიაც.

ყურადღებას იპყრობს ახალგაზრდა ოსტატობის კანდიდატის რ. ჯინჯიხაშვილის თამაში. უფერული სტარტის შემდეგ იგი საგრძნობლად „გამოცოცხლდა“ და ყველა შეხვედრას აღმავლობით ატარებს. გუშინ მან საუცხოოდ ჩაატარა

სიცოცხლის სადარაჯოზე

როცა რეზუსი უარყოფითია

ორ ათეულ წელზე მეტია, რაც საქართველოს სსრ სისხლის გადასხმის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი უანგაროდ იმსახურება ადამიანებს. მის განყოფილებებსა და ლაბორატორიებში სანატერესო და საჭირო ექსპერიმენტებს ატარებენ სისხლის შესწავლის სხვადასხვა პრობლემებზე. აქ უღებენ სისხლს დონორებს — ადამიანებს, რომელთა სისხლი უნდა გადაუსხან მათ, ვისი ჯანმრთელობაც საფრთხეშია. ინსტიტუტს ახლოს მუშაობის შვიდი დღეები და ღამის უძილო ღამეები. მაშინ სისხლი ამპულებით იგზავნებოდა ჰოსპიტლებში და ფრონტის ხაზზე დაჭრილთა სიცოცხლის გადასარჩენად. ერთ-ერთი საინტერესო საკითხი, რომელზეც ახლა ინსტიტუტის (დირექტორი შ. ეგნატაშვილი) ლაბორატორია მუშაობს, არის რეზუს-ფაქტორი.

პირველად უარყოფითისა და დადებით რეზუსზე მეცნიერებმა ორმოცდაანი წლების პირველ ნახევარში დაიწყეს ლაპარაკი, როდესაც სისხლში აღმოჩენილ იქნა ახალი, მანამდე უცნობი სხეულები. მხოლოდ ამ აღმოჩენის შემდეგ ცხადი გახდა მიზეზი სისხლის გადასხმის შეუთავსებლობის, მძიმე მშობიარობის, ახალდაბადებულთა ჰემოლიტური ყვითელსნი, რომლებსაც ხშირ შემთხვევაში სიკვდილიანობა მოჰყვებოდა. დადგენილ იქნა, რომ თუ მამას სისხლის დადებითი რეზუსი აქვს, ხოლო დედას უარყოფითი, ბავშვის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას საფრთხე მოელის. მას შემდეგ ამ პრობლემაზე მრავალი ქვეყნის მეცნიერები მუშაობენ.

რა გაკეთეს ამ მხრივ ქართველმა მეცნიერებმა?

სისხლის გადასხმის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის იმუნოსეროლოგიური ლაბორატორიის გამგე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ლუბა ლევანის ასული ჩიქობავა მოგვითხრობს რეზუს-ფაქტორის პრობლემების შესახებ.

— ჩვენს ინსტიტუტში, — ამბობს ლ. ჩიქობავა, — ამ პრობლემის სისტემატური შესწავლა 1950 წლიდან დავიწყეთ. მას შემდეგ დიდი მუშაობაა გაწეული. მასობრივად გამოვიკვლიეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონის მოსახლეობის სისხლი რეზუს-ფაქტორზე. მონაცემებმა ცხადყო, რომ უარყოფითი რეზუსის მქონე ადამიანები რესპუბლიკის მოსახლეობის 13 პროცენტს შეადგენენ. აქ სამში არაფერია, ეს ადამიანები ისევე ჯანმრთელები არიან, როგორც ყველანი.

მაგრამ სისხლის გადასხმის, მშობიარობის დროს ამ ფაქტორს დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ ინსტიტუტში შექმნილია რეზუს-უარყოფითი დონორების კადრები, ადგილებზე კი სისხლის გადასხმის განყოფილებები. გამოშვებულია ინსტრუქციები, ბროშურები, ტარდება სპეციალური ლექციები. რაიონების 656 ექიმს ადგილებზე წაეკითხათ ლექციები. 49 ექიმი მომზადებულ იქნა დამოუკიდებელი მუშაობისათვის, აქედან 25 თბილისის სამშობიარო სახლებიდან. ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები რეზუს-ლაბორატორიების გასახსნელად ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, რუსთავში. აღრიცხვაზე გვყავს ფეხმძიმე ქალები, რეზუს-შეუთანხმებელი ცოლ-ქმარნი. მარტო 1961-62 წლებში ჩვენს ლაბორატორიაში გასინჯულ იქნა 23.383 ფეხმძიმე და მშობიარე ქალი.

მიღებულ შედეგებზე ყველაზე კარგად წერილები და პატარა ბავშვების ფოტოსურათები მეტყველებენ, რომლებიც მრავლად მოდის ლ. ჩიქობავას სახელზე. 1955 წელს ლ. ჩიქობავამ მკურნალობისათვის ახალი მეთოდი — პლაცენტარული გამავალობულნი გამოიყენა. შედეგებმა მოლოდინს გადააჭარბა. ხშირად მოდის წერილები ბელოროსიიდან, უკრაინიდან, თურქმენეთიდან და სხვა ადგილებიდან თხოვნით გაუზიარონ ჩიქობავას მეთოდი.

ლ. ჩიქობავას მეთოდის შედეგად ჩვენი ქვეყნის მრავალი კუთხის ორასზე მეტი ბავშვი თავს შესანიშნავად გრძნობს. მრავალრიცხოვან წერილებში ბავშვები და მშობლები სიყვარულით იხსენებენ ლ. ჩიქობავას და იმუნოსეროლოგიური ლაბორატორიის მუშაკებს.

ხანძარი ტყეში

ღამით სოფელ ცაიშის საგეგეჭკოროს უბნის ტყეს ცეცხლი გაუჩნდა. ქარი ხანძარს თანდათან უფრო აძლიერებდა. ცეცხლი ემუქრებოდა კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციას და კოლმეურნეთა საცხოვრებელ სახლებს.

დრო არ ითმენდა. საჩქაროდ შეატყობინეს ონარიის ჩაის საბჭოთა მეურნეობის სახანძრო რაზმს. რაზმმაც არ დააყოვნა. მეხანძრეებმა კოლმეურნეების ვ. სახურიას, გ. გაბედავას, დ. ჭილაიას, დ. სახოკიას, დ. ძერინის აქტიური დახმარებით ხანძარი ჩააქრეს.

ქ. გეგეჭკორი.

„გამოცდილი მუშაკი“

(იგავი)

ბედმა თვითონ მოძებნა
დათვი დათო ჯანიძე,
ყველას გასაოცებლად
ტყის უფროსად დანიშნეს!..
კაბინეტის კარები
იშვიათად იღება,
ბეუზებს ხოცავს, ხატავს და
„შუქაობით“ იღლება,
ერთი კაცის მიღებას
თითო საათს უნდება.
— და თუ სადმე წავიდა
უკან აღარ ბრუნდება!
— ბორჯომით კუჭს აყუჩებს...
— ხშირად ტკვერავს კამფეტებს...
— არც არაფერს აფუჭებს,
— არც არაფერს აკეთებს!—
ჩურჩულებდა სუყველა —
ციყვი, მელა, კურდღელი:
—მოითმინეთ, ნუ დელავთ! —
უნდა იყოთ სულგრძელი! —
უთხრა ციყვმა მელიას,
თათი მოუთათუნა;
— აბა, დელი, დელია, —
ღიღინებდა დათუნა!
სამი წელი გავიდა,
დიდ ცვლილებებს ელიან,
კვლავ იწყებენ თავიდან
ციყვი, ტყრა, მელია:
— ბორჯომით კუჭს აყუჩებს...
— ხშირად ტკვერავს კამფეტებს...
— არც არაფერს აფუჭებს,
— არც არაფერს აკეთებს! —
წლების შემდეგ ჯანიძე
ახლა სხვაგან დანიშნეს!
ზის დათუნა დინჯად და
ნდობით უსმენს პირფერებს,
თან საქმეებს სინჯავს და
ახალ პოსტსაც იფერებს!
კურდღელმა თქვა: — თაფლი აქვს,
დგას ოჯახის გუშაგად.
ვერ გავიგე, რათ თვლიან
მას გამოცდილ მუშაკად?!
მელამ უთხრა: — სადა ხარ,
ახლა სხვაგან გადაპყავთ!
ბორჯომით კუჭს იყუჩებს,
ხშირად ტკვერავს კამფეტებს,
არც არაფერს აფუჭებს,
არც არაფერს აკეთებს!
შორს გაუთქვეს. გენაცვა.
მლიქნელებმა სახელი.
დამიჯერე. მე რაც ვთქვა,
ბევრისა ვარ მნახველი!

* * *

არავინ იფიქროს,
სიცრუე რათ ვთქვი,
ალბათ გეცნობებათ
ასეთი დათვი!

კ. გოგიაშვილი.

კუბა ისმენდა ქართულ მუსიკას

კუბის რესპუბლიკაში საგასტროლო მოგზაურობიდან დაბრუნდა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მთავარი დირიჟორი, სსრკ სახალხო არტისტი ოდისეი დიმიტრიადი. გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში დირიჟორმა თქვა:

□ □

— მოსკოვიდან ოთხ თებერვალს გავფრინდით. ჩვენმა თვითმფრინავმა ევროპის რამდენიმე ქვეყნის დედაქალაქში „შეისვენა“, ისე რომ ჰავანაში ხუთ თებერვალს ჩავედით.

პირველი კონცერტი ცხრა თებერვალს გაიმართა: ამ საღამოს ჰავანელებმა პირველად მოისმინეს დიდი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის დიდებული მუსიკა, რომელმაც, თამამად შემიძლია ვთქვა, ალაფრთოვანა მსმენელები. პირველ ნომრად შესრულებულ იქნა ოპერა „დაისის“ შესავალი. მშვენივრად დაუკრა სოლო ჰობოიზე კუბელმა მუსიკოსმა გუარნიერიმ, აღტაცებით იქნა მიღებული აგრეთვე რეგვა ლაღიძის სიმფონიური სურათი „საუბედაო“ და არამ ხაჩატურიანის კონცერტები ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის. სოლოს ფორტეპიანოზე ასრულებდა დახვეწილი ტექნიკის ახალგაზრდა პიანისტი ჰერერა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მის შესრულებას აკლდა მასშტაბურობა. ამავე საღამოს კონცერტის მეორე განყოფილება დაეთმო ჩაიკოვსკის მეხუთე სიმფონიას.

მეორე დღეს სასტუმროში კუბელი ჟურნალისტები — ჰავანის ჟურნალგაზეთების წარმომადგენლები მესტუმრნენ. კითხვას კითხვაზე მაძლევდნენ. ბევრი რამ ინტერესებდათ. მეკითხებოდნენ საბჭოთა და საკუთრივ ქართული მუსიკაზე, იმაზე, თუ როგორ არის დაყენებული ჩვენთან, საქართველოში, მუსიკალური განათლების საქმე, გვყავს თუ არა კომპოზიტორთა და მუსიკოს-შემსრულებელთა ეროვნული კადრები. მე მგონია, ასეთი განსაკუთრებული დაინტერესება ქართული მუსიკალური ცხოვრებით, რასაც კუბელი ჟურნალისტები იჩენდნენ, პირველი კონცერტის უშუალო გავლენას უნდა მიეწეროს, და რაც უფრო ფართოდ გაეცნობიან ისინი ქართულ ეროვნულ მუსიკას, ეს უკანასკნელი მით უფრო მეტ მეგობარსა და თაყვანისმცემელს შეიძენს.

მეორე კონცერტი 12 თებერვალს გაიმართა. კონცერტის პროგრამაში იყო ცეკვა „ქართული“ ოპერა „დაისიდან“, ანდრია ბალანჩივაძის სიმფონიური სურათი „რიწის ტბა“, რევაზ ლაღიძის „საუბედაო“, აგრეთვე დვორჟაკის მეხუთე სიმფონია და ლისტის პრელუდიები. საერთოდ, ძალზე სასიამოვნოდ დამჩრა ის გარემობა, რომ ორკესტრის მუსიკოსებმა ადვილად აითვისეს ქართული ნაწარმოებთა პარტიტურა. პირველი ვიოლინოების რთულ პარტიას ზაქარია ფალიაშვილის „ქართულში“ კუბელი მუსიკოსები პირველი რეპეტიციის შემდეგ უკვე თავისუფლად უკრავდნენ.

კუბიდან დაბრუნების შემდეგ მოსკოვში ორი სიმფონიური მუსიკის კონცერტი გავმართე. პირველ მათგანზე შესრულებულ იქნა შალვა მშველიძის სიმფონიური პოემა „ბინდია“.

„გამოცდილი მუშაკი“
(იგავი)
ბედმა თვითონ მოძებნა
დათვი დათო ჯანიძე,
ყველას გასაოცებლად
ტყის უფროსად დანიშნეს!..
კაბინეტის კარები
იშვიათად იღება,
ბეუზებს ხოცავს, ხატავს და
„შუქაობით“ იღლება,
ერთი კაცის მიღებას
თითო საათს უნდება.
— და თუ სადმე წავიდა
უკან აღარ ბრუნდება!
— ბორჯომით კუჭს აყუჩებს...
— ხშირად ტკვერავს კამფეტებს...
— არც არაფერს აფუჭებს,
— არც არაფერს აკეთებს!—
ჩურჩულებდა სუყველა —
ციყვი, მელა, კურდღელი:
—მოითმინეთ, ნუ დელავთ! —
უნდა იყოთ სულგრძელი! —
უთხრა ციყვმა მელიას,
თათი მოუთათუნა;
— აბა, დელი, დელია, —
ღიღინებდა დათუნა!
სამი წელი გავიდა,
დიდ ცვლილებებს ელიან,
კვლავ იწყებენ თავიდან
ციყვი, ტყრა, მელია:
— ბორჯომით კუჭს აყუჩებს...
— ხშირად ტკვერავს კამფეტებს...
— არც არაფერს აფუჭებს,
— არც არაფერს აკეთებს! —
წლების შემდეგ ჯანიძე
ახლა სხვაგან დანიშნეს!
ზის დათუნა დინჯად და
ნდობით უსმენს პირფერებს,
თან საქმეებს სინჯავს და
ახალ პოსტსაც იფერებს!
კურდღელმა თქვა: — თაფლი აქვს,
დგას ოჯახის გუშაგად.
ვერ გავიგე, რათ თვლიან
მას გამოცდილ მუშაკად?!
მელამ უთხრა: — სადა ხარ,
ახლა სხვაგან გადაპყავთ!
ბორჯომით კუჭს იყუჩებს,
ხშირად ტკვერავს კამფეტებს,
არც არაფერს აფუჭებს,
არც არაფერს აკეთებს!
შორს გაუთქვეს. გენაცვა.
მლიქნელებმა სახელი.
დამიჯერე. მე რაც ვთქვა,
ბევრისა ვარ მნახველი!
* * *
არავინ იფიქროს,
სიცრუე რათ ვთქვი,
ალბათ გეცნობებათ
ასეთი დათვი!
კ. გოგიაშვილი.

შეხვედრა

ოცდაცხუთი წლის შემდეგ

...ერთ კვირადღეს საოჯახო ალბომი გადავთვალიერე. ოცდაოთხი წლის წინათ გადაღებულ სურათს დავაკვირდი, და სიხარულმა გული ამიჩქროლა. სურათზე მე და ჩემი მეგობარი ვიყავით აღბეჭდილი.

გამახსენდა 1938 წელი, თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკაში პირველ საამქროში მღარავად რომ ვმუშაობდი. საამქროს უფროსმა ლევან ბიბილურმა ერთი ახალგაზრდა მომიყვანა და მითხრა:

— ოთარ, ამ ეაკაკაც გაბარებ და იცოდე, სამ-ოთხ თვეში ოსტატი უნდა გახადო.

— შესრულებული იქნება თქვენი სურვილი, პატივცემულო ლევან, — მივუგე.

ახლად გაცნობილი მეგობარი ჩემი თანატოლი — შოთა ლაპიაშვილი გამოდგა. დავიახლოვე. საგულდაგულოდ შეეასწავლე რიული დანადგარის ნაწილები, დაშლა და აწყობა. შოთამ სამ თვეში აითვისა ხელობა და დამოუკიდებლად დაიწყო მუშაობა.

— ოთარ, — მითხრა ერთხელ შოთამ.— მამაჩემმა შემომითვალა: „რთველზე ჩამოდი და შენი ოსტატი ჩამომგვარეო“. თუ ძმა ხარ, ხათრს ნუ გამიტეხ, წავიდეთ.

შევთანხმდით. შაბათს, მუშაობის შემდეგ, მატარებლით კახეთისაკენ გავეემგზავრეთ. სოფელ ველისციხეში რომ ჩავედით, ყოველ ნაბიჯზე შოთას თანასოფლელები ხვდებოდნენ, აჩერებდნენ და „ესაუბრებოდნენ...

— ყოჩაღ, შოთა, — უთხრა ცალმხარეს გოდორმოკიდებულმა მწვითურმა კაცმა, გოდორი ჩამოიღო და გადაჰკიცნა, — დაგტყობია ქალაქის ირი. აუცილებლად გვინახულე, შენი მეგობარიც მოგვიყვანე...

— ბიძაჩემია, ესტატე ჰქვია, — გამაცნო შოთამ, — სამოცდაჩვიდმეტი წლისაა, მაგრამ ხომ ხედავ, როგორი ძლიერი ვაჟკაცია. დღენიადაგ შრომობს. გამრჯე გლეხია, საუკეთესოდ მოვლილი ვენახი აქვს და ადამიანიც ჩინებულია, — ეხება თელი მომკიდა და მიმახედა: — გობთან რომ გოგოები დგანან, ხედავ?

მერე, ცოტა არ იყოს, გაწითლდა და საიდუმლოდ მითხრა: „ერთი მათგანი ჩემი საცოლეა“.

— რომელი? — გკითხე.

— მარცხნივ, ცისფერი კაბა რომ აცვია...

— გამარჯობათ! — მიესალმა შოთა მათ.

— ქალიშვილებმა მორცხვად შემოგვხედეს და ძლივს გასაგონად მოგვესალმნენ. შოთას „საცოლეს“ ცალა ერქვა, მეორეს ლამარა, მაგრამ ვერ ვიგრძენი, რომ ცალასა და შოთას შორის სიყვარულის რაიმე ნიშან-წყალი ყოფილიყო. გოგონები მორიდებით გველაპარაკებოდნენ.

ქალიშვილები წავიდნენ. ბოთს აღარაფერი ეთქვამს, ნელა გავყევით გზას.

— „ესეც ჩვენი სახლი, — მითხრა მეგობარმა.

შოთას მშობლები ვასო და ელიკო, დები და ძმები გულუხვად შეგვეგებნენ.

— ოთარს გაუმარჯოს, იცოცხლეთ და იდღეგრძელეთ! — ბომმართა შოთას მამამ. — მადლობელი ვარ, რომ ჩემს შვილს მეგობრობისა და ძმობის ხელი გაუწოდე და ქვეყნის, ხალხის სამსახურში ჩააყენე...

ჩვენმა დროსტარებამ გვიანობამდე გასტანა. მეორე დღეს რთველში დავრჩით და თბილისში აკიდოებით დავბრუნდით...

ომი დაიწყო. მე და შოთა დავშორდით ერთმანეთს. მე ფრონტზე წავედი, რასაკვირველია, — ისიც. მას შემდეგ შოთაზე აღარაფერი მსმენია.

— ნეტავი როგორ არიან დეიდა ელიკო, ძია ვასო, შოთა... ასე უნდა ვეთილი ადამიანების დავიწყება? — ნაღვლიანად გავიფიქრე, რომ ამ დროს ზარის ხმა შემომესმა.

ოთახის კარი გავაღე და ჩემი ვახტანგისა და მისი ტოლი ამხანაგის მოღიმარ სახეებს შევეფეთე. ისინი ზუსტი მსგავსება აღმოჩნდნენ იმ სურათისა, რომელსაც წუთების წინ ვაკვირდებოდი.

— მამა, გაიცანი, ინსტიტუტის თანაკურსელია, ჩემი მეგობარი.

— ახალგაზრდა. ვისი ხარ, ან რა გვარისა, — შევეკითხე.

— შოთა ლაპიაშვილის ვაჟი ვარ...

— დედაშენს ციალა ჰქვია?

— დიახ!

გიორგი კაკიაშვილი.

ნამდვილი ამგავი

ანდაზები

□ თუ შენმა მიღწევამ კეთილი კაცი აალაპარაკა — ეს ჯერ კიდევ არ არის მიღწევა, ხოლო თუ ბოროტი კაცი ჩაჩუმა — ეს უკვე ხალასი მიღწევაა.

□ კბილმა დაიჩივლა — ჩემი საქმე მაშინ წახდა, როცა გვერდის მეზობლები დაგკარგეო.

□ „საქმემ ჩაიცინა — შეხებით თუ დამიმორჩილებთ, თორ